

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოვლისა და ექსპლუატაციის წესი

შინაარსი

1. ზოგადი დებულებები
 - 1.1. გავრცელების სფერო
 - 1.2. მიზნები
 - 1.3. ამოცანები
2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა, მოვლა, ექსპლუატაცია , დაზღვევა და პასუხისმგებლობები
 - 2.1. უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიცირება
 - 2.2. ავტომობილების დოკუმენტაციის აღრიცხვა, შენახვა, გადაცემა
 - 2.3. ავტომობილის ისტორიის წარმოება;
 - 2.4. მოვლის პირობები, სტანდარტები, ვადები და საშუალებები
 - 2.5. ექსპლუატაციის პირობები, მონაწილეები , სტანდარტები, ვადები და საშუალებები
 - 2.6. უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის დაზღვევის მოთხოვნები და პირობები
 - 2.7. აღრიცხვის , მოვლის, ექსპლუატაციის და დაზღვევის უზრუნველყოფის მიზნით პასუხისმგებელი პირების დადგენა, პასუხისმგებლობის განაწილება
 - 2.8. განსაკუთრებული დაზიანების შემთხვევებში კონკრეტული თანმიმდევრული მოქმედებების გაწერა და პასუხისმგებლობების გადანაწილება
3. დანართი №1 ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკატორი
4. დანართი №2 ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ისტორიის ჟურნალი
5. დანართი №3 ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემა-დაბრუნების აღრიცხვის ფორმა
6. დანართი №4 პროცედურასთან გაცნობის ფურცელი.

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოვლისა და ექსპლუატაციის წესი

1. ზოგადი დებულებები

1.1. გავრცელების სფერო

- 1.1.1. წესი განსაზღვრავს : ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოვლის, ექსპლუატაციის წესს.
- 1.1.2. წინამდებარე წესი ვრცელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში მყოფ ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (შემდგომში “ავტომობილი”).
- 1.1.3. წინამდებარე წესით უნდა იხელმძღვანელოს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელმა, რომელიც უფლებამოსილების ფარგლებში სარგებლობს უნივერსიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.

1.2. მიზნები

წინამდებარე წესი დადგენილია უნივერსიტეტის მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებების:

- ✓ აღრიცხვის უზრუნველყოფის მიზნით
- ✓ მოვლის უზრუნველყოფის მიზნით
- ✓ ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით
- ✓ დაზღვევის უზრუნველყოფის მიზნით
- ✓ აღრიცხვის , მოვლის ექსპლუატაციის და დაზღვევის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობის დადგენისა და განაწილების მიზნით.

1.3. ამოცანები

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად განხორციელდეს:

- 1. კლასიფიკატორის შექმნა/წარმოება;
- 2. ავტომობილების დოკუმენტაციის აღრიცხვა, შენახვა გადაცემის განსაზღვრა;
- 3. ავტომობილის ისტორიის წარმოება;

4. მოვლის პირობების, სტანდარტების, მონაწილეების, ვადების და საშუალებების განსაზღვრა;
 5. ექსპლუატაციის პირობების, სტანდარტების, მონაწილეების, ვადების და საშუალებების განსაზღვრა;
 6. უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის დაზღვევის მოთხოვნების განსაზღვრა;
 7. აღრიცხვის , მოვლის, ექსპლუატაციის და დაზღვევის უზრუნველყოფის მიზნით პასუხისმგებელი პირების დადგენა, პასუხისმგებლობის განაწილება;
 8. განსაკუთრებულ შემთხვევებში კონკრეტული თანმიმდევრული მოქმედებების გაწერა;
2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა, მოვლა, ექსპლუატაცია , დაზღვევა და პასუხისმგებლობები
- 2.1. უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიცირება:
- 2.1.1. დადგინდეს უნივერსიტეტის მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებების სრული რაოდენობა და იწარმოოს კლასიფიკატორი, სადაც შესაძლებელი იქნება თითოეული სატრანსპორტო საშუალების მიეკუთვნება კლასიფიკატორში გაწერილი ტიპების მიხედვით.
 - 2.1.2. კლასიფიკატორის განახლება უნდა ხდებოდეს უნივერსიტეტის მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში:
 - ✓ ყიდვა
 - ✓ ჩამოწერა
 - ✓ გასხვისება
 - 2.1.3. 2009 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკატორი დანართი №1 სახით დამტკიცდეს

- 2.2. ავტომობილების დოკუმენტაციის აღრიცხვა, შენახვა, გადაცემა
- 2.2.1. ავტომობილის აღრიცხვა ხდება როგორც მატერიალური, ასევე ბუღალტრული თავლსაზრისით.
- 2.2.2. ავტომობილი უნდა ირიცხებოდეს უნივერსიტეტის ბალანსზე და გააჩნდეს საბალანსო ღირებულება.
- 2.2.3. ავტომობილს უნდა ერიცხებოდეს ცვეთა. (ავტოსატრანსპორტო საშუალებების ამორტიზაციის მეთოდი განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლის საფუძველზე.)
- 2.2.4. ავტომობილის მატერიალური აღრიცხვა გულისხმობს ავტომობილის ტექნიკური პასპორტის, სარეგისტრაციო მოწმობის, ასევე ავტომობილის შემადგენელი აქსესუარების აღწერა- დოკუმენტირების პროცესს.
- 2.2.5. ავტომობილის გრძელვადიანი პარკირება კონკრეტული პირის სარგებლობაში გადაცემამდე, უნდა ხდებოდეს უნივერსიტეტის დაცულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის ზიანის თავიდან აცილების მიზნით.
- 2.2.6. ავტომობილის კონკრეტულ პირზე ექსპლუატაციაში გადაცემამდე ავტომობილის გასაღებები, სარეგისტრაციო მოწმობა, თანმდევი დოკუმენტები და აქსესუარები ინახება მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსთან.
- 2.2.7. ავტომობილის ექსპლუატაციის მიზნით კონკრეტულ პირზე გადაცემა გულისხმობს ფიზიკურად ავტომობილის, სარეგისტრაციო მოწმობის, და გასაღების გადაცემის ფაქტს.
- 2.2.8. ავტომობილის ექსპლუატაციის მიზნით კონკრეტულ პირზე გადაცემის ფაქტი უნდა აღირიცხებოდეს სპეციალურ ჟურნალში, რომლის წარმოება ხდება მატერიალური რესურსების მართვის სამსახურში. აღნიშნული ფაქტი უნდა დადასტურდეს ორმხრივი ხელმოწერით. (ჟურნალის ფორმა განისაზღვროს დანართი №2 სახით.)
- 2.2.9. ავტომობილის ექსპლუატაციაში გადაცემის შემდეგ, როგორც დღის ასევე ღამის პარკირება უნდა ხდებოდეს უსაფრთხო ადგილას, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირობების დაცვით. ყველა ავტომობილს უნდა ჰქონდეს საკუთარი ღამის პარკირებისთვის

განსაზღვრული ადგილი. ეს ადგილები განისაზღვრება მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მიერ. ღამის პარკირების შესახებ ინფორმაციას უნდა ფლობდეს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, დაცვის სამსახურის უფროსი და შესაბამისი ღამის მორიგე.

2.2.10. თუ ავტომობილის ღამის პარკირება ხდება არაგანსაზღვრულ ადგილას და ეს ადგილი არ არის უნივერსიტეტის კუთვნილი დაცული ტერიტორია, ამის შესახებ წერილობით ან ზეპირად უნდა იყოს ცნობილი მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსისთვის და დაცვის სამსახურის უფროსისათვის, რომლებიც თავის მხრივ ინფორმაციას მიწვდიან ღამის მორიგეს. თანხმობის გადაწყვეტილებას იღებს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

2.2.11. თუ ღამის მორიგე არ ფლობს ინფორმაციას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არაპარკირებული ავტომობილების შესახებ, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დაცვის სამსახურის უფროსს. რომელიც თავის მხრივ აკეთებს შესაბამის რეაგირებას მატერიალური რესურსების სამსახურთან ერთად.

2.2.12. ავტომობილის უნივერსიტეტის თანამშრომლისთვის მართვის უფლებით გადაცემას წყვეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი . თანამშრომლების შერჩევა ხდება ხუთ კატეგორიად:

- ✓ უნივერსიტეტის შტატით განსაზღვრული მძღოლები.
- ✓ უნივერსიტეტის ის თანამშრომლები, რომლებსაც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს უხდებთ ხშირად გადაადგილება და აღნიშნული ფაქტი გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციაში.
- ✓ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პოზიციებზე მომუშავე თანამშრომლები.
- ✓ უნივერსიტეტის რექტორი.
- ✓ ფაკულტეტების დეკანები.

2.3. ავტომობილის ისტორიის წარმოება;

2.3.1. ავტომობილის უკეთ მოვლის და ექსპლუატაციის მიზნით ყოველ კონკრეტულ ავტომობილზე უნდა მოხდეს ავტომობილის ისტორიის ჟურნალის წარმოება.

2.3.2. ჟურნალი უნდა მოიცავდეს ყოველი დათავლიერების/ დიაგნოსტიკის შედეგებს. მასში უნდა აღირიცხებოდეს პრობლემები, პრობლემის აღმოფხვრის გზები და საშუალებები.

2.3.3. ავტომობილის ექსპლუატაციის ისტორიის ჟურნალის ფორმა წარმოდგენილია დანართი №3 სახით.

2.4. მოვლის პირობები, სტანდარტები, ვადები და საშუალებები

2.4.1. მოვლის წესი

ავტომობილის მოვლის წესი განისაზღვროს კონკრეტული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპის, პასპორტის და ქვემოთ მოყვანილი ზოგადი სტანდარტების მიხედვით.

2.4.2. ზოგადი სტანდარტები

2.4.2.1. ზოგადი სტანდარტები შემუშავებულია ავტომობილის გამართულობის, ზიანის თავიდან აცილების და მოვლის საშუალებების დადგენის მიზნით:

- ✓ ავტომობილი უნდა გაირეცხოს კვირაში ერთხელ (ავტომანქანების გარეცხვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით);
- ✓ ავტომობილის დიაგნოსტიკა შესაბამის პროფილაქტიკურ ცენტრში უნდა განხორციელდეს წელიწადში ოთხჯერ: მარტში, ივნისში, სექტემბერში, დეკემბერში, პირველი ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში;
- ✓ ავტომობილის ტიპისა და პასპორტის მონაცემებზე დაყრდნობით ავტომობილში უნდა იყოს ყველა საჭირო სათადარიგო და საავარიო ნივთი (დამცველები, ამწევი, ჩასაბმელი თოკი, ცეცხლმაქრი, სააფთიაქო ყუთი და სხვა);
- ✓ ყოველ ავტომობილს უნდა გააჩნდეს საბურავების ორი ტიპი: ზაფხულის და ზამთრის; ყველა ავტომობილს უნდა ჰქონდეს გამართული სათადარიგო საბურავი;
- ✓ ავტომობილში ყოველთვის უნდა ესხას ავტომობილის პასპორტით დასაშვები მარკის საწვავი;
- ✓ ავტომობილი გამართული უნდა იყოს ყველა სხვა დანარჩენი შესაბამისი რაოდენობის და შესაბამისი მარკის შემცველობის საპოხი მასალით.

2.4.2.2. ამ ძირითადი სტანდარტების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ასევე გამართულობისა და დეფექტების აღმოჩენის მიზნით ხდება ავტომობილის ზოგადი დათვალიერება კვირაში ერთხელ, კვირის ბოლო სამუშაო დღეს, აღნიშნული პასუხისმგებელი პირი დათვალიერების შემდეგ აკეთებს ჩანაწერებს ზონარგაყრილ, დალუქულ ჟურნალში;

2.4.3. მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი წერილობითი ფორმით მიმართავს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს არსებული შედეგების შესახებ, განსაკუთრებით პრობლემის (ან მოსალოდნელი პრობლემის) აღმოჩენისას და უთითებს პრობლემის გადაჭრის საშუალებებზე, საჭიროებებზე, ვადებზე და სხვა. მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი აკეთებს შესაბამის რეაგირებას.

2.5. **ექსპლუატაციის პირობები, მონაწილეები, სტანდარტები, ვადები და საშუალებები**

2.5.1. **ექსპლუატაციის წესი**

2.5.1.1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია უნდა მოხდეს „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, ”მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭებისა და მძღოლის მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #1098 ბრძანებისა და საგზაო ნიშნების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. დამატებითი მოთხოვნები უნივერსიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციასთან დაკავშირებით მოცემულია წინამდებარე წესში.

2.5.2. **ექსპლუატაციის ზოგადი სტანდარტები**

- ✓ პირი, რომელსაც დროებით სარგებლობაში აქვს ავტომობილი გადაცემული ექსპლუატაციამდე ათვალიერებს როგორც გარედან ასევე შიგნიდან ავტომობილს, (საბურავებს, ხომ არ არის ნაჟონი სითხე, ხომ არ ანთია გაურკვეველად რაიმე ნათურა, ხომ არ შეიმჩნევა რაიმე გაუმართაობა და სხვა)
- ✓ ხუთ საათზე მეტი ხნით ავტომობილის გაჩერებისას, დაქოქვიდან დაძვრამდე უნდა იყოს სამი წუთის ინტერვალი;

- ✓ პირს, რომელსაც დროებით სარგებლობაში აქვს ავტომობილი გადაცემული, შეუძლია ავტომობილის უმნიშვნელო გაუმართაობა თავად გამოასწოროს;
- ✓ თუ ავტომობილი იმართება სიჩქარეების მექანიკური კოლოფით ყოველთვის უნდა იყოს დაცული სიჩქარეში გადართვის თანმიმდევრობა, ხოლო სიჩქარეების ავტომატური მართვისას დაცული უნდა იყოს შესაბამისი პოზიციები;
- ✓ ავტომობილის პარკირებისას ჩართული უნდა იყოს ხელის მუხრუჭი;
- ✓ ავტომობილის საწვავით შევსება უნდა ხდებოდეს საწვავის სიმცირის აღმნიშვნელი ციმციმის ამუშავებისთანავე;
- ✓ თუ ავტომობილის ექსპლუატაციისას ეკრანზე ჩნდება რაიმე მითითება, პირი რომელიც მართავს ავტომობილს ვალდებულია, გაითვალისწინოს აღნიშნული და განახორციელოს 2.8.2.5. პუნქტით განსაზღვრული აქტივობები.
- ✓ მძღოლი ვალდებულია აკონტროლოს ხელსაწყოების დაფა.
- ✓ მგზავრობისას აუცილებელია როგორც ავტომობილის მძღოლს, ასევე მგზავრებს ეკეთოს დამცავი ღვედი.

2.5.3. კონკრეტული პირისთვის ავტომობილის ექსპლუატაციაში გადაცემისას სავალდებულოა თანამშრომელი აკამყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ✓ უნდა გააჩნდეს შესაბამისი მართვის მოწმობა;
- ✓ უნდა ჰქონდეს ავტომობილის მართვის სამწლიანი გამოცდილება;
- ✓ უნდა ფლობდეს და იცავდეს საგზაო წესებს;
- ✓ უნდა გაეცნოს ავტომობილის პასპორტში გაწერილ ექსპლუატაციის წესებს და აღნიშნული წერილობითი ფორმით დაადასტუროს;
- ✓ უნდა იაზრებდეს და ითვლისწინებდეს, რომ იღებს პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის ქონებაზე და შესაბამისად გაუფრთხილდეს მას;
- ✓ უნდა მოქმედებდეს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოვლისა და ექსპლუატაციის წესის ყველა ნორმის დაცვით.

2.5.4. იმ პირის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში, რომელსაც დროებით სარგებლობაში აქვს გადაცემული უნივერსიტეტის კუთვნილი ავტომობილი, თუ შესაბამისი ორგანოების მიერ უშუალოდ დამრღვევის დაუდგენლობის გამო ჯარიმა გამოიწერება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, ჯარიმის სახით დარიცხული თანხის

ანაზღაურება მოსთხოვოს ავტომობილით მოსარგებლეს და/ან აღნიშნული თანხა დაუქვითოს ხელფასიდან.

2.6. უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის დაზღვევის მოთხოვნები და პირობები

2.6.1. სავალდებულოა უნივერსიტეტის მფლობელობაში მყოფი ავტომობილის დაზღვევა. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებების გაფორმებას და სადაზღვევო პრემიის გადახდას დადგენილ ვადებში ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად.

2.6.2. დაზღვევის პირობები შეიძლება იცვლებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სპეციფიკიდან, ტიპიდან და ექსპლუატაციაში ყოფნის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

2.6.2.1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის პირობები და დაზღვეული რისკები განისაზღვრება სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით. "ავტოსატრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სავალდებულოა ავტოსატრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

2.7. აღრიცხვის , მოვლის, ექსპლუატაციის და დაზღვევის უზრუნველყოფის მიზნით პასუხისმგებელი პირების დადგენა, პასუხისმგებლობის განაწილება

2.7.1. 2.1. პუნქტით გათვალისწინებული კლასიფიკატორის შექმნა/წარმოება/ განახლებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს და ამავე სამსახურის თანამშრომელს, რომლის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს აღნიშნული კლასიფიკატორის წარმოება.

2.7.2. ბუღალტრული აღრიცხვის 2.2 2და 2.2.3 პუნქტებით დადგენილი ნორმების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის ხელმძღვანელს.

2.7.3. 2.2.4. 2.2.5. 2.2.6. და 2.2.8. პუნქტებით დადგენილი ავტომობილის მატერიალური აღრიცხვის, შენახვის , უსაფრთხოების პირობების

შექმნის, ავტომობილის გადაცემის აღრიცხვის ჟურნალის წარმოების და ფიზიკურად მესამე პირისთვის ექსპლუატაციის მიზნით ავტომობილის გადაცემისთვის პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

- 2.7.4. 2.2.9 და 2.2.10. პუნქტებით განსაზღვრული უსაფრთხო ღირებულების პარკირების პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, დაცვის სამსახურის უფროსი და ღირებულების მორიგე. იმ შემთხვევაში, თუ ღირებულების პარკირება ხდება უნივერსიტეტის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, პასუხისმგებლობა ავტომობილის უსაფრთხო პარკირებაზე ეკისრება პირს, რომელსაც დროებით სარგებლობაში აქვს ავტომობილი გადაცემული.
- 2.7.5. 2.3. მუხლით განსაზღვრული ექსპლუატაციის ისტორიის ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი და ამავე სამსახურის თანამშრომელი, შემდგომში "ექსპერტი"), რომლის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს აღნიშნული ჟურნალის წარმოება.
- 2.7.6. 2.4. მუხლით დაგენილი ავტომობილის მოვლის პირობების, სტანდარტების, ვადების და საშუალებების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელს ("ექსპერტს"), რომლის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს აღნიშნულის შესრულება.
- 2.7.7. მატერიალური რესურსების მართვის 2.7.7. პუნქტით განსაზღვრული თანამშრომელი ("ექსპერტი") ვალდებულია იცნობდეს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ყველა ავტომობილის პასპორტს და იმოქმედოს შესაბამისი ნორმების დაცვით.
- 2.7.8. 2.5. მუხლით გათვალისწინებული ექსპლუატაციის ზოგადი სტანდარტების დაცვა სავალდებულოა ყველა იმ თანამშრომლისთვის, რომელსაც დროებითი სარგებლობის უფლებით გადაეცემა უნივერსიტეტის კუთვნილი ავტომობილი.
- 2.7.9. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ფინანსების ადმინისტრირების მიმართულებით ვალდებულია შექმნას ყველა პირობა 2.6. მუხლის დასაკმაყოფილებლად, აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული ხარჯები გაწეროს ბიუჯეტში და აწარმოოს დროული შესყიდვების პროცედურები.

- 2.7.10. ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია გაეცნოს ავტომობილის პასპორტში გაწერილ ექსპლუატაციის წესებს და იმოქმედოს შესაბამისად.
- 2.7.11. მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია ორგანიზება გაუკეთოს და უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების და ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობის გადაცემის და დაბრუნების ფაქტი, ავტომობილის დროებითი მფლობელების ხელმოწერით.
- 2.7.12. ასევე მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია დაადასტუროს, რომ ავტომობილის დროებითი მოსარგებლე იცნობს და მოქმედებს შესაბამისი ავტომობილის პასპორტით განსაზღვრული ნორმებით. აღნიშნული ფაქტი აისახება შესაბამის დოკუმენტზე ავტომობილის დროებით მფლობელის მიერ ხელმოწერის გზით.
- 2.7.13. პირი, რომელსაც დროებით სარგებლობაში აქვს გადაცემული ავტომობილი, რომ აკმაყოფილებს თუ არა 2.5.3. პუნქტით გათვალისწინებულ ყველა პირობას, უნდა შემოწმდეს და წერილობით დაადასტურდეს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მიერ.
- 2.7.14. სავალდებულოა ავტომობილის მართვა მხოლოდ სადაზღვევო მოქმედ ვადებში. სადაზღვევო ვადების კონტროლი ეკისრება მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს, რომელიც სადაზღვევო ვადის ამოწურვამდე ორი თვით ადრე წერილობითი ფორმით ატყობინებს ხელმძღვანელობას ვადის ამოწურვის მოლოდინის შესახებ.
- 2.7.15. ავტომობილის დაზღვევისათვის საჭირო თანხების მოძიებაზე პასუხისმგებელია საფინანსო სამმართველო, ხოლო შესყიდვების პროცედურის კანონის შესაბამისად წარმართვაზე და დროულად შესყიდვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავარ შემსყიდველს.
- 2.7.16. 2.6.1. პუნქტით გათვალისწინებული დაზღვევის მოთხოვნებისა და სადაზღვევო რისკების ჩამონათვალი ტექნიკურ მონაცემებთან ერთად სადაზღვევო კომპანიასთან შესათანხმებლად წარმოდგენილი უნდა იქნას მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მიერ.

- 2.7.17. მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ პირმა, რომელსაც დროებითი სარგებლობისთვის გადაეცემა ავტომობილი, ხელმოწერით დაადასტუროს ავტომობილის მიღება და დაბრუნება.
- 2.7.18. ხელმოწერის უზრუნველყოფაზე, პასუხისმგებელია მატერიალური სამსახურის უფროსი იმის დასტურად, რომ პირი რომელსაც დროებითი სარგებლობისთვის გადაეცემა ავტომობილი იცნობს შესაბამისი ავტომობილის პასპორტში გაწერილ ექსპლუატაციის წესებს.
- 2.7.19. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოვლისა და ექსპლუატაციის წესის გაცნობის შესახებ დადასტურების ხელმოწერაზე პასუხისმგებელია კანცელარიის უფროსი (გაცნობის ფურცელი ხელმოწერებით ინახება ამ დედან დოკუმენტთან ერთად) დანართი N4
- 2.8. **განსაკუთრებულ, დაზიანების შემთხვევებში კონკრეტული თანმიმდევრული მოქმედებების გაწერა და პასუხისმგებლობების გადანაწილება**
- 2.8.1. განსაკუთრებული შემთხვევები
იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობა არის თბილისის გარეთ, მაშინ ამ ავტოსაშუალებების მძღოლები ვალდებული არიან, მანქანის თბილისში მოხვედრისთანავე დათვალიერების, შემოწმების, პროფილაქტიკის და ნაკლის აღმოჩენის მიზნით ავტომანქანა აჩვენონ მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელს, რომლის უშუალო ფუნქციას წარმოადგენს ავტომობილების მოვლა.
- 2.8.2. დაზიანების შემთხვევაში კონკრეტული თანმიმდევრული ქმედებების გაწერა და პასუხისმგებლობის გადანაწილება
- 2.8.2.1. ავტოსატრანსპორტო საშუალების მოვლასა და ექსპლუატაციის დროს რაიმე ზიანის სწორად აღმოფხვრაზე პასუხისმგებლობა ნაწილდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში სხვადასხვაგვარად, როგორც უშუალოდ იმ პირზე, ვისაც დროებითი სარგებლობის მიზნით გადაცემული აქვს ავტომობილი, ასევე მატერიალური სამსახურის იმ თანამშრომელზე, რომელსაც უშუალოდ ეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობა. აღნიშნული პასუხისმგებლობების გადანაწილება ხდება ქვემოთ მოყვანილი პუნქტების მიხედვით.

2.8.2.2. ავტოსატრანსპორტო საშუალების უყურადღებობით დაზიანების შემთხვევაში პასუხისმგებელია ის თანამშრომელი, ვის უშუალო დაქვემდებარებაშიც არის ავტოსატრანსპორტო საშუალება. თუ დადგინდა, რომ ეს შემთხვევა გამოწვეულია ამ წესის შესაბამისად მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელზე გაწერილი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ამ შემთხვევაში მომხდარზე პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი. პასუხისმგებლობის ხარისხი, დონე და შესაბამისი დისციპლინარული გადაცდენაზე რეაგირების ფორმა უნდა შეიმუშაოს იურიდიული სამსახურის უფროსმა.

2.8.2.3. მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია წერილობითი ფორმით მიმართოს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს რაიმე პრობლემის აღმოჩენისთანავე (ან/და სხვა შემთხვევებში) და მიუთითოს პრობლემის გადაჭრის საშუალებები, საჭიროებები და ვადები.

2.8.2.4. თუ ავტომობილი ექსპლუატაციის დროს მწყობრიდან გამოვიდა, შეენიშნება უცნაური ხმა ან ეკრანზე იწერება რაიმე პრობლემის წარმოშობის შესახებ, ავტომობილის მძღოლი ვალდებულია გააჩეროს ავტომობილი, დაუკავშირდეს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე თანამშრომელს, ჩააყენოს საქმის კურსში და მითითებების მიღების შესაბამისად განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიება.

2.8.2.5. ავტომობილის მმართველი ვალდებულია იმოქმედოს მითითების შესაბამისად. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გადადის მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელზე. თუ ავტომობილის მმართველი თვითნებურად იღებს გადაწყვეტილებას, მაშინ პასუხისმგებლობა არ ნაწილდება და მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომელიც მართავს ავტომობილს.

გამოიყოფა მითითებების სამი ვარიანტი.

- ✓ I ვარიანტი: როცა მატ. რესურსების სამსახურის თანამშრომელი შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას, რომ ავტომობილის დაძვრა არანაირ ზიანს არ მიაყენებს ავტომობილს. ამ შემთხვევაში ავტომობილის მმართველს მოჰყავს ავტომობილი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ხოლო თანამშრომელი ადგენს მოხსენებით ბარათს დეფექტურ აქტთან ერთად და უთითებს დეფექტის აღმოფხვრის გზებს. ეს ინფორმაცია აუცილებლად

გადაიტანება მანქანის ისტორიის ჟურნალში, რასაც დაადასტურებს ავტომობილის მმართველიც, მისთვის განკუთვნილ გრაფაში ხელმოწერის გზით.

- ✓ II ვარიანტი: როცა მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი აძლევს მითითებას ავტომობილის მმართველს, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს პრობლემა. ავტომობილის მმართველი შეასრულებს მითითებებს. მას შემდეგ რაც მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი დარწმუნდება რომ პრობლემა აღმოიფხვრა, იძლევა ნებართვას განაგრძოს ავტომობილმა ექსპლუატაცია. აღნიშნული ფაქტი აუცილებლად აისახება მანქანის ისტორიის ჟურნალში. მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია ავტომობილის დაბრუნებისთანავე გადაამოწმოს პრობლემა.
- ✓ III ვარიანტი: როცა მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი იღებს გადაწყვეტილებას, რომ ავტომობილი არ უნდა დაიდრას ადგილიდან. ამ შემთხვევაში მატერიალური რესურსების სამსახურის თანამშრომელი მიმართავს ხელმძღვანელს და იგეგმება ღონისძიება მატ. სამსახურის ხელმძღვანელობით ავტოსატრანსპორტო საშუალების ევაკუაციის მიზნით შესაბამის პროფილაქტიკაში, სადაც ამ პასუხისმგებელ პირთან ერთად ხდება დეფექტის შეფასება და იგეგმება გამოსწორების ღონისძიებები. ანალოგიურად პირველი ვარიანტისა კეთდება სამსახურეობრივი ბარათი დეფექტურ აქტთან ერთად. მანქანის ისტორიის ჟურნალში აღნიშნული ფაქტი უნდა დაადასტუროს მანქანის მძღოლმა ხელმოწერით.

დანართი №1

2009 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკატორი

№	სატრანსპორტო საშუალების დასახელება	რაოდენობა	ტიპი
1	ავტო მანქანა ტოიოტა "FORTUNER"	1	მაღალი გამავლობის ავტომობილი
2	ა/მ ტოიოტა R4	2	მაღალი გამავლობის ავტომობილი
3	ავ/მ ლენდროვერ დისქავერი SALU	1	მაღალი გამავლობის ავტომობილი
4	მიკრო ავტობუსი მერსედეს ბენცი	1	მიკრო ავტობუსი
5	მიკროავტობუსი (ვაშლოვანის)	1	მიკრო ავტობუსი

6	ა/მ TOYOTA IPSUM	1	მინივენნი
7	ა/მ "კადეტი"	1	ჰეჩბეკი
8	ა/მ BMW	1	
9	ა/მ ფურგონი მოსკვიჩი IS-27-15	1	ფურგონი
10	ა/მ ნივა ვაზ-2121 (NAE 492)	1	მაღალი გამავლობის ავტომობილი
11	ს/მ გაზ 52-04(NAE 313)	1	სატვირთო
12	ს/მ ზილ-157 (29-91 ГЕЮ)	1	სატვირთო
13	ავტო მანქანა ვაზ-24	1	სედანი
14	ავტო მანქანა გაზ-3110	2	სედანი
15	სატვირთო-სარეცხი ზილ-164 (81-47 ГРЕ)	1	სატვირთო
16	ავტობუსი 24 კაციანი პაზ-672 (NAE 493)	1	ავტობუსი
17	მიკრო ავტობუსი რაფ-2203(NAE 491)	1	მიკრო ავტობუსი
18	სახანძრო მანქანა გაზ-66 (1051-ГАФ)	1	სახანძრო
19	ტრაქტორი ДТ-535	1	ტრაქტორი
20	ავტო მანქანა ИЖ-2715	1	მიკროსატვირთო
21	ავტო მანქანა გაზ-31029	1	
22	ავტო მანქანა გაზ-51(ბაკურიანი)	1	
23	ავტო მანქანა ოპელ-ომეგა 0,2	1	სედანი
24	მიკრო ავტობუსი ფორდტრანზიტი	1	მიკრო ავტობუსი
25	ტოიოტა ფორ რანერი	1	მაღალი გამავლობის ავტომობილი
26	ტოიოტა ჰაილუქსი	1	მაღალი გამავლობის ავტომობილი
27	უაზ-452 --2192	1	მაღალი გამავლობის ავტომობილი
28	უაზ-469-1235	3	მაღალი გამავლობის ავტომობილი
29	ნივა 71-86 G	1	მაღალი გამავლობის ავტომობილი
30	მოსკვიჩი-21211-4764	1	მიკროსატვირთო
31	გგაზ-69 -0806	1	მაღალი გამავლობის ავტომობილი, სატვირთო
32	გგაზ-66	3	სატვირთო
33	ნნისა 522	2	მიკროავტობუსი
34	გაზ 31512	1	სედანი

35	უაზ 452,	1	სედანი
36	მიცუბიში დელიკა	1	მიკროავტობუსი
37	მიცუბიში პაჯერო	1	მაღალი გამავლობის ავტომობილი